ოქმი:**ო37. 3725224001**

თარიღი:**12/08/2025**

ოქმი N 16

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

2025 წელი, 11 აგვისტო

ქ. ოზურგეთი

16:00- 16:30 -საათი

თავმჯდომარეობდა: ლავრენტი ბიგვავა-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ტ. არაშიძე, ნ. ჭანიშვილი, გ. ჩავლეშვილი, მ. ჩხიკვიშვილი, ბ. თოიძე, პ. კიღურაძე, ქ. ხომერიკი, დ. მჟავანაძე.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 9 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის განთავსების რეგულირების შესახებ“ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

გადაწყვიტეს:

1. ბიუროს სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნას მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში განხილვა-დამტკიცების მიზნით.

2. საკრებულოს დარგობრივმა კომისიამ(პ. კიღურაძე), შესაბამის სამუშაო ჯგუფთან ერთად, მოამზადოს და საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინოს დასკვნა განკარგულების პროექტის განხილვა-დამტკიცების უზრუნველყოფის მიზნით.

ლავრენტი ბიგვავა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი